

მარილის მოხმარების ხარისხობრივი კვლევა

გვანცა გელავა¹, ნანა მებონია²

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის სამაგისტრო პროგრამა
¹მაგისტრანტი; ²ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

შესავალი:

მარილის გადაჭარბებული რაოდენობით მიღება დაკავშირებულია მთელი რიგი არაგადამდები დაავადებების განვითარებასთან, მათ შორისაა ჰიპერტენზია, ინსულტი და გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადებები. მარილის მიღების შეზღუდვამ კი შესაძლოა შეამციროს სისხლის წნევა და არაგადამდები დაავადებების განვითარების რისკი. თანამედროვე მონაცემების მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობის უდიდესი წილი მარილს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებაზე მეტი რაოდენობით მოიხმარს. ისინი ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ ნორმაზე მეტ მარილს მოიხმარენ, რომელიც მოზრდილთათვის შეადგენს 2 გ ნატრიუმი/დღეში (5 გ მარილი/დღეში).

კვლევის მიზანს შეადგენდა მარილის მოხმარების ხარისხობრივი ინდიკატორების შეფასება შერჩეულ პოპულაციაში.

კვლევის მეთოდი:

მომზადდა ელექტრონული კითხვარი, რომელიც დაეგზავნა შემთხვევითად შერჩეულ რესპოდენტებს სოციალური ქსელების გამოყენებით. სტატისტიკური ანალიზის გზით შეფასდა კორელაცია რესპოდენტთა ზოგიერთ მახასიათებელსა (განათლება, სქესი) და მარილის შესახებ ინფორმირებულობას შორის. ამ მიზნით გამოთვლილი იყო შანსების თანაფარდობა (OR) და 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი (95% CI).

კვლევის შედეგები:

კვლევაში მონაწილეობა 150 რესპოდენტმა მიიღო, მამაკაცი/ქალი თანაფარდობამ 1:4-ზე შეადგინა, ასაკის დიაპაზონი - 19-69 წელი; რესპოდენტთა 85% 20-49 წლის ასაკობრივ ჯგუფშია, 71% - უმაღლესი განათლების. რესპოდენტთა 89%-მა მიუთითა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია მარილის ჭარბი მოხმარების ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შესახებ, თუმცა

გამოკითხულთა 71% მზა პროდუქციის შემენისას თითქმის არასოდეს ეცნობა ინფორმაციას ეტიკეტზე მარილის შემცველობის შესახებ, 67% მარილს ამატებს საკუთარ ულუფას, 8% კი მარილს ამატებს სადილს მისი გასინჯვის გარეშე. აღმოჩნდა, რომ უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტები (OR=1.3, 95%CI=0.4-4.2) და ქალები (OR=1.2, 95% CI=0.3-4.0) უფრო ინფორმირებულნი არიან მარილის მავნე ზემოქმედების შესახებ.

დისკუსია:

უკანასკნელი წლების განმავლობაში ევროპის რეგიონში უამრავი წარმატებული ღონისძიება იქნა განხორციელებული მარილის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში. მათ შორისაა, მაგალითად, ევროკავშირის ჩარჩო კონვენცია, რომელიც ითვალისწინებს მარილის მოხმარების შემცირებას ძირითადად ისეთ გადაამუშავებულ პროდუქტებში, როგორცაა, მზა საკვები, ხორც პროდუქტები, პური და ყველი.

დასკვნა:

მარილის მოხმარება მოსახლეობაში მაღალია, მიუხედავად მაღალი ინფორმირებულობისა მარილის ჭარბი მოხმარების ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შესახებ.